



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

რუსეთის ფედერაციამ ადამიანის
უფლებათა ევროპულ სასამართლოში
საქართველოსთან N IV
სახელმწიფოთაშორისო დავა წააგო



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

www.gyla.ge

რუსეთის ფედერაციამ ადამიანის
უფლებათა ევროპულ სასამართლოში
საქართველოსთან N IV

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ეფექტური გამოძიების ამკარა ნაკლოვანებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული პრაქტიკის **№ []** შემწყნარებლობის ელემენტი, ასევე დადგენილია გონივრული ეჭვის მიღმა;

- ადმინისტრაციული პრაქტიკა დადგინდა ასევე, უკანონო დაკავებებთან და გადაადგილების თავისუფლების უფლებასთან მიმართებით. სასამართლოს განმარტებით, დე-ფაქტო რეჟიმის წარმომადგენელთა მხრიდან დაკავება ვერ ჩაითვლება კანონიერად კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებისთვის;

- **№ []** პროცესი შეფასდა, როგორც ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებისა და საკუთრების უფლების დარღვევად, რამეთუ მცოცავი ოკუპაცია და საოკუპაციო რეჟიმის ქმედებები ანცალკევებს ოჯახებს, ხოლო მოქალაქეებს არ აძლევთ საკუთარი საკუთრებით სარგებლობის შესაძლებლობას;

- ქართული ენა კონვენციის I დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მიზნებისათვის აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოფიციალურ ენად იქნა მიჩნეული, ხოლო ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა განათლების უფლების დარღვევად იქნა აღიარებული.

მნიშვნელოვანია, რომ გადანყვეტილებაში არსებული განმარტებები საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი პოზიციების საერთაშორისო სამართლებრივი არგუმენტებით გამყარებაში დაეხმარება.

გადანყვეტილების ფონზე, საგანგაშოა, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან განგრძობადად, **დღესაც**, ადგილი აქვს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის შევიწროების, უკანონო დაკავებების, თავდასხმის, წამების, მკვლელობისა და დაშინების ადმინისტრაციულ პრაქტიკას.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ამ ვითარებაში უმნიშვნელოვანესია, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სამართლის დროული აღსრულება, აგრესორი სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დროული დაკისრება და საერთაშორისო დანაშაულების ჩამდენ პირთა დროული გამოვლენა. ამ უკანასკნელის განსახორციელებლად კი, აუცილებელია სრულიად საერთაშორისო საზოგადოების ნების ფორმირება. ამ მიზნით საიამ 2024 წლის 26 იანვარს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად რუსეთის პასუხისმგებლობის დამდგენ საქმეებზე მიღებული/მისაღები გადანყვეტილებების აღსრულებას საერთაშორისო საკომპენსაციო ფონდის შექმნის თაობაზე თანმიმდევრული და ეფექტიანი საგარეო ადვოკატირების წარმოებისკენ [მოუწოდა](#).

საია კვლავაც განაგრძობს შეიარაღებული კონფლიქტისა და განგრძობადი ოკუპაციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საერთაშორისო დონეზე ინტერესების დაცვასა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მიღებული გადანყვეტილებების აღსრულების მონიტორინგს.